პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 პარასკევი 4 მარტი № 53 (16790) ფასი 2 კაპ. 1977

მტკიცე და მონოლითურია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი და მძლავრი კავშირის შემადგენელი ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობა და ერთიანობა. მისი შექმნა და წარმატებით განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფი, მისი ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ხასიათის ნათელი დადასტურება, სოციალიზმის დიადი მონაპოვარია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესანიშნავ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

თბილისელთა ფრონტი და მეგობრობა

ანსაკუთრებული ხალისით, ამაღლებული განწყობილებით შეეგება ბევრისმომსწრე თბილისი მეათე ხუთწლეულის მეორე გაზაფხულს. და არის ამის საფუძველიც. წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს დედაქალაქი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და როგორც ჩვენმა რესპუბლიკამ, სხვა მოძმე რესპუბლიკებმა და ოლქებმა, ქალაქებმა და შრომითმა კოლექტივებმა, თბილისმაც ალალად დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ალკგ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელი დროშა.

და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. საბჭოთა საქართველოს ყოველდღიურ წარმატებებში, იმ უდიდეს პოზიტიურ ძვრებში, რაც შესანიშნავად არის შეფასებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის შარშანდელი 22 ივნისის დადგენილებით, მეტად დიდია, აუწონავი და გაუზომავია თბილისის, მისი პარტიული ორგანიზაციის, მისი მშრომელების წვლილი. სწორედ ამიტომ გვახარებს ახლანდელი გამარჯვებაც, რომ დიდი და საპატიო ჯილდოს მფლობელი, საქართველოსთან ერთად, გახდა მისი გულიც, მისი დედაქალაქიც.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა ოლქის, ქალაქისა თუ ხოფლის მშრომელებს გულითა და ხულით ახარებთ თბილისის ყოველი წარმატება, მისი ზრდა, წინსვლა და შენება, რადგან იგი საკუთარ წინსვლად და გამარჯვებად მიაჩნიათ, ისევე როგორც ამ ხუთიოდე წლის წინათ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ მიღებული ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნული ყველა ნაკლი და დამახინჯება მთელი საქართველოს ტკივილად მიიჩნიეს.

თბილისი ხომ, ეს მილიონიანი ქალაქი, სადაც თავმოყრილია თითქმის ყველა რესპუბლიკური უწყება და ორგანიზაცია, მრეწველობის წამყვანი ობიექტები, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი და უმაღლესი სასწავლებლები, კულტურის კერები — მუდამ ტონს იძლევა, უდიდეს გავლენას ახდენს მთელი რესპუბლიკის ცხოვრების რიტმსა და შინაარსზე.

სწორედ აქედან, საქართველოს დედაქალაქიდან, ხათავეს იღებს ბევრი წამოწყება და ინიციატივა; სწორედ აქ ხდება თავმოყრა და შემდეგ რესპუბლიკის მშრომელთა საერთო კუთვნილება ხდება ნათელი შემოქმედებითი აზრი და კეთილი გამოცდილება. თუმცა, ხაზგასმულია, ისიც უნდა ვაღიაროთ ამ სასიხარულო განცდების ჟამს, თუ რა უარყოფით გავლენას ახდენდა საქართველოს მთელ ცხოვრებაზე მისი დედაქალაქის ყოფაცხოვრებაში ამ რამდენიმე წლის წინათ ღრმად ფესვგადგმული ნეგატიური მოვლენები.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა მოიმარჯვეს და ყოველდღიურ სახელმძღვანელოდ აქციეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

ამ ნამდვილ მკურნალად მოვლენილი ისტორიული დოკუმენტის მიღებიდან უკვე ხუთ წელზე მეტი გავიდა და უკვე ესოდენ ნათლად, პრაქტიკულად და, როგორც იტყვიან, ხელშესახებად გამოჩნდა გაწეული დიდი, ურთულესი მუშაობის სასიამოვნო ნაყოფი.

ბევრმა შრომითმა კოლექტივმა გაიმარჯვა შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომლის დევიზი იყო: „სსრ საქართველოს — მაღალი საწარმოო კულტურა და სანიმუშო დისციპლინა!“ და „ბადაპაკციოთ თბილისი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად!“.

როცა გონების თვალს ვაკვლევთ და გულდასმით ვამოწმებთ უკანასკნელ წლეებში განვლილ ნაბიჯებს, არ შეიძლება იმ დიდი გარდაქმნების დაუნახავობა, რაც როგორც რესპუბლიკის, ისე მისი დედაქალაქის ცხოვრების თითქმის ყველა უბანზე მოხდა. მაგრამ ყველაზე სასიხარულო შედეგი ადამიანთა რწმენაცვლებაა, მათი კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებაა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება დღეს, როცა ყოველი დღე, ყოველი საათი სულ უფრო გვაახლოებს დიდი ოქტომბრის ხამოცწლოვან სახელოვან იუბილეს, როცა ამ დიადი მოვლენისათვის მზადებას თან ახლავს ხალხის შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა.

თბილისიდან მთელ საქართველოს გადასწვდა ნოვატორების გ. კურტანძისა და ვ. რიმნისოფელის თაოსნობანი. ხულ ახლახან, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადების დღეებში პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომში და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში გამოჩნდა კიდევ ერთი სასარგებლო ინიციატივა — 1977 წლის თებერვლიდან მრეწველობის საწარმოებმა იმუშაონ ჩამორჩენის გარეშე, უზრუნველყონ, რომ ყოველდღიური თვითეული ზრდითი კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებდეს საწარმოო გეგმას.

თბილისელები — ინტერნაციონალური ქალაქის მცხოვრებლები — სათუთად იცავენ და უფროხილდებიან ოქტომბრის დიად მონაპოვარს — ხალხთა ლენინურ მეგობრობას. ვინ მოთვლის ამ მეგობრობის ნათელ მაგალითებს, რომლებიც უკანასკნელ ხანს სულ უფრო მრავლდება და თვალსაჩინო ხდება. ამის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა ის ძმობა და მეგობრობა, ის ალალი შეჯიბრება, რაც მოძმე რესპუბლიკების ქალაქებს — ბაკოს, ერევანს, რიგასა და თბილისს აქვთ. მეგობარ ქალაქთა რიცხვი წლეულს კიდევ ერთით გაიზარდა, მათ სვერდლოვსკი მიემატა. და სწორედ ნამდვილი ძმობის დასტურად ისიც გამოდგება, რომ დღეს თბილისისათვის საპატიო დროშის გადაცემის სიხარულს ამ ქალაქების მშრომელებიც ეზიარებენ, და ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ხაზეიმო სხდომაზე მათი წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

ამ ხუთი ქალაქის შეჯიბრება, რომელსაც ყოველდღიურად ამშვენებს ლამაზი პრაქტიკული შედეგები, სახიხარულო ფაქტები და წარმატებათა ციფრები, უშუალოდ უპასუხებენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ მეათე ხუთწლედი ხალხთა მეგობრობის ხუთწლედია, ეკონომიკის ენაზე თარგმნილი.

დიდი და საპატიო ჯილდო — საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა — ახალ, უფრო საპატიო ამოცანებს უყენებს ყველა თბილისელს, რომელთაც დღეს კანონიერ სიხარულთან ერთად აქვთ აგრეთვე მიღწეულით დაუმაყოფილებლობის გრძნობა.

გისურვებთ, ძვირფასო თბილისელებო, ახალ დიდ წარმატებებს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის საპატიო გზაზე!

ლირსეული შეხვედრა — დიად ოქტომბერს!

ხუთწლედის ადამიანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის მიერ გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებულთა შორის არის თბილისის ჩარხსამშენებლო საწარმოო გაერთიანება, რომლის სათაო საწარმოა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა.

წლეულს კარგად მუშაობს მერვე საამქროს მეორე უბანი. სურათზე: უბნის მუშათა ჯგუფი (მარცხნიდან): უბნის უფროსი ა. ციხელაშვილი, ხარატები კ. ფარჯიანი, ვ. მიქელაძე, რ. ხამადაშვილი, ა. ჩარგეიშვილი, პ. ტენიშჩევი, ვ. კუდრიავცევი, რ. ალელოვი, ე. ჩეკლიევი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

სამშობლოს სადიდებელი შრომა წითელი დროშით დაგვირგვინდა

აჭარის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი

ბათუმი, 3 მარტი. (საქინფორმის კორ.). სადღესასწაულოდ არის მორთული ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი. დიდი სამაყოს გრძნობით, სამშობლოს წინაშე პირნათლად ვალმოხდილნი მოვიდნენ აქ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლები მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა აჭარის ასს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას. ეს გარდამავალი დროშა რესპუბლიკას მიენიჭა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. ეს ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა ის ძმობა და მეგობრობა, ის ალალი შეჯიბრება, რაც მოძმე რესპუბლიკების ქალაქებს — ბაკოს, ერევანს, რიგასა და თბილისს აქვთ. მეგობარ ქალაქთა რიცხვი წლეულს კიდევ ერთით გაიზარდა, მათ სვერდლოვსკი მიემატა. და სწორედ ნამდვილი ძმობის დასტურად ისიც გამოდგება, რომ დღეს თბილისისათვის საპატიო დროშის გადაცემის სიხარულს ამ ქალაქების მშრომელებიც ეზიარებენ, და ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ხაზეიმო სხდომაზე მათი წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

ამ ხუთი ქალაქის შეჯიბრება, რომელსაც ყოველდღიურად ამშვენებს ლამაზი პრაქტიკული შედეგები, სახიხარულო ფაქტები და წარმატებათა ციფრები, უშუალოდ უპასუხებენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ მეათე ხუთწლედი ხალხთა მეგობრობის ხუთწლედია, ეკონომიკის ენაზე თარგმნილი.

ამ ხაზეიმო სხდომაზე ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბინადარი ეროვნებათა ლიდერები, ეროვნული ფერადოვნებით, ეროვნული ფერადოვნებ

ბათუმი, 3 მარტი. (საქინფორმის კორ.). სადღესასწაულოდ არის მორთული ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი. დიდი სამაყოს გრძნობით, სამშობლოს წინაშე პირნათლად ვალმოხდილნი მოვიდნენ აქ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლები მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა აჭარის ასს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას. ეს გარდამავალი დროშა რესპუბლიკას მიენიჭა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. ეს ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა ის ძმობა და მეგობრობა, ის ალალი შეჯიბრება, რაც მოძმე რესპუბლიკების ქალაქებს — ბაკოს, ერევანს, რიგასა და თბილისს აქვთ. მეგობარ ქალაქთა რიცხვი წლეულს კიდევ ერთით გაიზარდა, მათ სვერდლოვსკი მიემატა. და სწორედ ნამდვილი ძმობის დასტურად ისიც გამოდგება, რომ დღეს თბილისისათვის საპატიო დროშის გადაცემის სიხარულს ამ ქალაქების მშრომელებიც ეზიარებენ, და ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ხაზეიმო სხდომაზე მათი წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

ამ ხუთი ქალაქის შეჯიბრება, რომელსაც ყოველდღიურად ამშვენებს ლამაზი პრაქტიკული შედეგები, სახიხარულო ფაქტები და წარმატებათა ციფრები, უშუალოდ უპასუხებენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ მეათე ხუთწლედი ხალხთა მეგობრობის ხუთწლედია, ეკონომიკის ენაზე თარგმნილი.

ამ ხაზეიმო სხდომაზე ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბინადარი ეროვნებათა ლიდერები, ეროვნული ფერადოვნებით, ეროვნული ფერადოვნებ

(დასასრული მე-2 გვ.)

მოძმე ქალაქების წარმომადგენლები თბილისში

ამიერკავკასია — ერთი: მეგობრობის ხიდი

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების შეჯიბრებულ ქალაქებს — თბილისს, ბაკოსა და ერევანს შეემატა ინდუსტრიული ურალის დედაქალაქიც — სვერდლოვსკი.

მეგობრობის კიდევ ერთი ხიდი გაიდო კავკასიონიდან ურალის მთებამდე.

ამიერიდან 1977 წლის 3 მარტი ამიერკავკასიისა და ურალის ხალხთა მეგობრობის ქალენდარში მნიშვნელოვან თარიღად აღინიშნება. ამ დღეს სტუმრობოყვარე თბილისმა მიიღო სამი ქალაქის — ბაკოს, ერევნის, სვერდლოვსკის მშრომელთა წარმომადგენლები.

გულთბილად, ძმურად შეეგება ტრადიციული ინტერნაციონალური მეგობრობის ქალაქი აზერბაიჯანის კომპარტიის ბაკოს საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ა. ქირიმოვს, ბურღვის ოსტატს, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს მ. ომბაროვს, ბაკოს ლენინგრადის შმიდტის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატს, აზერბაიჯანის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ა. კირეტკოვს. პარტიის ბაკოს საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგეს ა. ბარუფდინს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს რ. ბეიბუთოვს.

აზერბაიჯანის დელეგაცია თბილისში მატარებლით ჩამოვიდა. იმავე დღეს ცოტა მოგვიანებით მოძმე სომხეთის დელეგაცია ავტომობილებით შემოგრიალდა ქალაქის სამხრეთ გარეუბნებში. დელეგაციას მეთაურობს სომხეთის კომპარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნერსესიანი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სომხეთის „ელექტრომანქანის“ ქარხნის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი რ. მოვსესიანი და ერევნის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი „მრეწველობის“ ტრესტის მმართველი ლ. შახბაზიანი.

ერთი დღით ადრე, ორ მარტს, თბილისის აეროპორტში დაეშვა სვერდლოვსკიდან მომავალი თვითმფრინავი. მან ჩამოიყვანა ინდუსტრიული ურალის წარმომადგენლები — სკკპ სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. მანიუხინი, სვერდლოვსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ბუკინი და ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის კბილანმჭრელთა ბრიგადირი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ხრამცოვი.

სვერდლოვსკელ, ბაკოელ და ერევნელ სტუმრებს დახვდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე, ქალაქის მოწინავე მუშები, პარტიული, საბჭოთა ორგანოების, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ღირსშესანიშნავია, რომ მშრომელი ქალაქების წარმომადგენელთა ძმური შეხვედრა იმ დღეებში მიმდინარეობს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება საზეიმო ვითარებაში აღნიშნოს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი. თვითეულ დედაქალაქს თავისი წვლილი შეაქვს ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნაში. ამას დამაჯერებლად მოწმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები, რომლებითაც აღინიშნა მეათე ხუთწლედის პირველ წელს თბილისს, ბაკოს, ერევნისა და სვერდლოვსკის ოლქის მშრომელთა დიდი მიღწევები.

ქართულ მიწა-წყალზე ჩამოსვლის პირველი წუთებიდანვე სტუმრებმა იგრძნეს გულთბილობა და სტუმართმოყვარეობა.

სიტყვა ეძლევათ სტუმრებს:

ვ. მუნუზინი,
სკკპ სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

— საუკუნეებში აქვს ფესვი გადგმული ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას. დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ იგი კიდევ უფრო განვითარდა და განმტკიცდა, ახალი შინაარსით გამდიდრდა. ამჟამად ბევრი რამ აერთიანებს საბჭოთა საქართველოსა და ურალის მშრომელებს, მტკიცე საქმიანი ურთიერთობა დამყარდა ჩვენს საწარმოებს შორის. მაგალითად, საქართველოს ზოგიერთი ჰიდროსადგური აღჭურვილია ურალის მძიმე ელექტრომანქანათმშენებელ ქარხნაში შექმნილი მძლავრი აგრეგატებით. სატრანსფორმატორო მოწყობილობა მოქმედებს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში და ა. შ. ამავე დროს მრავალი სახეობის სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციას იღებენ საქართველოდან სვერდლოვსკის საწარმოები და სავაჭრო ქსელი.

თუ ჩვენს ქალაქზე ვილაპარაკებ, მას ახასიათებს წარმოების დიდი მასშტაბები, პროდუქციის მრავალფეროვნება, დიდი ტექნიკური კულტურა საწარმოთა ეფექტიანი რეკონსტრუქციის მნიშ-

(დასასრული მე-3 გვ.).

სურათებზე: აჭარის ასსრ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და გორის რაიონისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშების გადაცემა.

ნ. ანასტასიევის ტელეფოტო, ხ. ელიზარაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს საფიქრებელი შრომა წითელი დროშით დაგვირგვინდა

(დასასრული)

ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობის მეჩაიე, აჭარათველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ა. ფოკაიდი, ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის მუშა ი. კ. ზოიძე, ხელვაჩაურის რაიონის შეკვნისწყლის კოლმეურნეობის მეკიტრუნე გ. ა. დიასამიძე. მათ გულითადი მადლობა უძღვნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას იმის გამო, რომ ნიადაგ ზრუნავენ აჭარის ასს რესპუბლიკისათვის, თქვეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელი კოლექტივები პარტიის მოწოდების პასუხად დამკვრელური შრომით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, წარმატებით ასრულებენ საიუბილეო წლისათვის ნაკისრ შემხვედრ გეგმებსა და ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს.

მიტინგის მონაწილეებს მიესალმნენ ნორჩი ლენინელები ია ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღმაგლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და რესუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

საზეიმო მიტინგზე ითქვა, რომ აჭარის ასს რესუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა ღირსშესანიშნავი დროს მოხდა. მხოლოდ ერთმა წელმა განკვლო მას შემდეგ, რაც გამმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXV ყრილობა. ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პარტიისა და ხალხის მუშაობა რესპუბლიკაში უმაგალითო აღმავლობით აღინიშნა. ყრილობის დღეებს, მისი ისტორიული გადაწყვეტილებების მზარდ ზემოქმედებას საბჭოთა ადამიანები გრძნობენ ყოველდღიურ შრომაში, ისინი საფუძვლად უდევს მთელ ორგანიზატორულ, პოლიტიკურ და სამეურნეო საქმიანობას. სკკპ XXV ყრილობის რევოლუციური, შემოქმედებითი სულისკვეთება იყო ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის განვითარების მძლავრი სტიმული. კომუნისტთა თავდადება და შეუპოვრობა, მოწინავე როლი, მიზნებს მიღწევამი გამოჩენილი სიმტკიცე დავეხმარა სერიოზული დაბრკოლებისა და სიძნელეების დაძლევაში, რომლებიც არახელსაყრელი ამინდის პირობების ბრალი იყო.

დაძაბული თავდადებული შრომით აღიხიმნა მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის პირველი წელი. ამატომ გვიხარებს მიღწეული წარმატებები, ისინი ხომ მოწმობს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მტკიცე, მრავალმხრივ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას, აჭარის ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა შრომის გმირობისა და ინიციატივის, შემოქმედებითს ძიებას.

მეათე ხუთწლედის პირველ წელს ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, კადამდე — 22 დეკემბრისათვის გაანაღდეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სახელმწიფო დავალებები. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 8 მილიონისა და წარმოებულია 12 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, რაც 2,5 მილიონი მანეთით აღემატება სოციალისტურ ვალდებულებებს.

პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის 1976 წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები წარმატებით შესრულეს ბათუმის ზემოსაშენებელმა, ელექტრომექანიკურმა, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნებმა, სამკერვალო და ტყავის საწარმოო გაერთიანებებმა, ქობულეთის რაიონისა და ხელვაჩაურის საარაონთაშორისო ნაის ფაბრიკების გაერთიანებებმა, აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატმა და სხვა საწარმოებმა.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა ხარისხობრივი მაჩვენებლები.

მიტინგზე ბევრი რამ ითქვა აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის წარმატებების შესახებაც, აღინიშნა, რომ უამინდობის სიძნელე გადალახეს და შარშან ამ დარგში მეურნეობებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს.

თავდადებული შრომის კარგი მაგალითი გვიჩვენეს მეჩაიეებმა, რომლებმაც მოკრიფეს და საბჭოეთის მეურნეობებს ჩაბარეს 51.112 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 111,3 პროცენტსა და გადიდებული სოციალისტური ვალდებულების 100,2 პროცენტს შეადგენს. საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა გადიდდა 6.877 კილოგრამამდე, ეს კი რეკორდული მაჩვენებელია და 377 კილოგრამით აღემატება 1975 წლის მოსავლიანობის დონეს. პირველ ხარისხად არის დამზადებული ნედლეულის 71.1 პროცენტი — 1975 წლის მაჩვენებელზე 1,5 პროცენტით მეტი. გადაჭარბებით არის რეალიზებული აგრეთვე ჩაის მექანიზებული კრეფის დაკალება.

მიტინგზე მოიყვანეს ავტონომიური რესპუბლიკის ცალკეული მეჩაიეობის მეურნეობებში მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითები. ქობულეთის რაიონის ორხატურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ყოველ ჰექტარ პლანტაციაზე მოიწია 9.782 კილოგრამი ნედლეული, სოფელ ქვედა აჭყვის „წითელი ოქტომბრის" კოლმეურნეობაში მოკრიფეს 9.246 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ჯიხანჯირის საბჭოთა მეურნეობამ 9.503 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოიწია. კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა, წარჩინებულმა მეჩაიეებმა.

მეცხრესეთა თავდადებული შრომის მეჩაიეობით აჭარაში დაზადდა 70,5 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, აქედან 67.834 ტონა სტანდარტული ნაყოფი, რაც წლიური გეგმის 113,8 პროცენტს შეადგენს.

წარმატებით შესრულდა ბოსტნეულის, კარტოფილის, დაფნის ფოთლისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის, აგრეთვე ნაის, ტუნგის, ციტრუსოვანთა პლანტაციებისა და ხილის ბაღების გაშენების გეგმები და სოციალისტური ვალდებულება. წარმატებით დამამთავრეს მეათე ხუთწლედის პირველი წელი აჭარის სატრანსპორტო ორგანიზაციებმა, მათ შეასრულეს ტვირთბრუნვის და მგზავრთა გადაყვანის გეგმები და ვალდებულებები.

შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა საქართველოს საზღვაო სანაოსნომ, რომელმაც წარმატებით შეასრულა საკაბოტაჟე და სახელვარგარეთ ნაოსნობის ტვირთზიდვის ყველა გეგმა და სოციალისტური ვალდებულება, აგრეთვე დავალებები სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

მიტინგზე დაასახელეს მეათე ხუთწლედის მოწინავენი, მაგალითად, თავისი საქმის განთქმული ოსტატები: ენგენ დოლიძე, მერი ღოღობერიძე, ალექსანდრე პლუქნიკოვი, გული ბოლქვაძე, ნადია გორგილაძე, გუგული ჭანიძე, სემინეთ დარჩიძე, იბრაგიმ ნიგალიძე, გიორგი სიტარიდი და სხვები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ავტონომიურ რესპუბლიკას მოეპოვებინა საუკეთესო მაჩვენებლები სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამჟამად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ავტონომიური რესპუბლიკის 96 ათასზე მეტი მშრომელი. კომუნისტური შრომის კოლექტივის სატიტო წოდება მოიპოვა 8 საწარმომ, 763 ბრიგადამ, 195 სამმაჩრომ, კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მინიჭებული აქვს სახალხო მეურნეობის 17 ათასზე მეტ მოწინავეს.

მიტინგზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოციალისტური შეჯიბრება ახლა მარტო შრომითი მეტოქეობა კი არა, არამედ ადამიანთა დაახლოების, ინტერნაციონალური მეგობრობის განმტკიცების ერთერთი სამიდელ საშუალება გახდა. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადების პერიოდში აჭარის პარტიული ორგანიზაციები ამაღლებენ ბუნებრივ მუშაობას ამ მიმართულებით. მტკიცდება ფეხაზეთის, შოძრე უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის ქალაქებისა და რაიონების მშრომელებთან მეგობრობა, ფაროოდენ შემოქმედებითი შეჯიბრება. ყოველწლიურად აჭარის საწარმოსა და კოლმეურნეობას — შეჯიბრების გამარჯვებულს — ენიჭება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ბლაგოევგრადის საოლქო კომიტეტისა და ბლაგოევგრადის საოლქო საბჭოს გარდამავალი ვიმპელი. იანვრის დამლევს გამართულ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აჭარის შრომელებმა იკისრეს მეათე ხუთწლედისა და 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებები. საიუბილეო წელს გადაწყდა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა შეასრულონ 24 დეკემბრისათვის, წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 11 მილიონი მანეთის პროდუქცია, 23 პროცენტამდე გაზარდონ ხარისხოვანნაზნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა, სახელმწიფოს მიაყიდონ 50.270 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 80 ათასი ტონა ციტრუსი, 3.300 ტონა თამბაქო, 74.850 კილოგრამი რძე და სხვ. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების მუშაკებმა.

მიტინგზე აღინიშნა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, ყველა საწარმოში მაქსიმალურად რომ გამოეყენებინათ არსებული რეზერვები და ყველა შესაძლებლობა, უთუოდ რომ შესრულებულიყო სახელმწიფო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები. ჯერჯერობით კი სუსტად იზრდება შრომის ნაყოფიერება. 15-მა საწარმომ ვერ შეასრულა დავალებები ამ მაჩვენებლის მიხედვით, ხოლო 11 საწარმო ჩამორჩა ზრდის ტემპს 1975 წელთან შედარებით. 1976 წელს შრომის ნაყოფიერების ზრდის მეოხებით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების მხოლოდ 60 პროცენტი 1975 წლის 75 პროცენტთან შედარებით.

ლაპარაკი იყო სოფლის მეურნეობაში ჩრდილოელ ჩაკლოვებებზე. ცალკეულ მეურნეობებში ჯერ კიდევ დადია ჩაის პლანტაციების სიმეჩხრე, კალაჟინდებურად დაბალია საზოგადოებრივ სექტორში დამზადებული ციტრუსოვანთა ხვედრითი წონა (23-25 პროცენტი).

ამ მხრივ სერიოზული და გეგმაზომიერი მუშაობა უნდა ეაწარმოოთ.

ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მძოფელეთა ენა შთამეკვლილება მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ". ისინი ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს კომპარტიის ქუთაისისა ქალაქების კომიტეტისა და პირველი მაისის რაიონული კომიტეტის ინიციატივას, რომ არ ყოფილიყო მრეწველობაში ჩამორჩენილი საწარმოები, მაღალწონ, რომ თვითეული შრომითი კოლექტივი ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებდეს გეგმებს.

ამ თაოსნობასთან და საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით აჭარის შრომთა კოლექტივებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, რომელთა მონაწილეებმა იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება მეათე ხუთწლედის პირველ წელს აჭარის მშრომელთა მუშაობის დიდ შეფასებას ნიშნავს. გარდამავალი წითელი დროშა ამავე დროს არის სტიმული, რომელიც მოუწოდებს მიაღწიონ ახალ შრომით წარმატებებს. მიტინგის მონაწილეებმა აღინიშნეს, რომ მათ კარგად იციან თავიანთი ამოცანები, მათთვის კარგად არის ცნობილი გადაუწყვეტელი პრობლემები, ამიტომ ეცდებიან გაცილებით მეტი გააკეთონ, აამოქმედონ გამოუყენებელი რეზერვები.

პარტიის დიდი ზრუნვითა და ყურადღებით აღფრთოვანებულმა აჭარის კომუნისტებმა, შრომელებმა მხურვალე მადლობა გადუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ენხანგ ლ. ი. ბრეჟნევს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს თავიანთი შრომის დიდი შეფასებისათვის. მათ აღუთქვეს, რომ ღირსეულებენ თავიანთ ვალდებულებას სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში და ღირსეულად შეხვედრიან დიდი ოქტომბრის სახელოვან მე-60 წლისთავს.

(საქინფორმი).

ხუთწლედის ნაბიჯებით

რუსთავის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

გაიმართა რუსთავის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრების მონაწილეთა ტაშის გრიალში სალამური პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ქალაქ რუსთავს 1976 წელს რესუბლიკის ქალაქებს შრომელთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, ხოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, რომელმაც 26 დეკემბრისათვის გაანაღდა წლიური გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. ქალაქის მრეწველობამ ვადამდე, 26 დეკემბრისათვის გაანაღდა წლიური პროგრამა. გეგმის გადაჭარბებით გამომუშავებულია 6,5 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

მნიშვნელოვანი ძალები მოხდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაშიც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის წარმატება. მოპოვებული გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც დღეს გადაეცემა კოლექტივს, მოწმობს, რომ იგი მტკიცედ დგას არა მარტო ქალაქ რუსთავის, არამედ მთელი რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის მშრომითს კოლექტივებს შორის განაღებული შეჯიბრების ავანგარდში. ჩვენ კი გვახსოვს ახლო წარსული, როცა ქარხანა შეფერხებებით მუშაობდა, როცა იგი ქრონიკულად ჩამორჩენილ საწარმოთა შორის იყო. როცა კარგავდა მუშაობა ადრევს. ყოველივე ეს დიდ შეშფოთებას იწვევდა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის, ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ეფექტიანი ღონისძიებების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის, საკავშირო ორგანოების დახმარების, მეტალურგთა მრავალათასიანი კოლექტივის სიბეჯითისა და ორგანიზებულობის მეოხებით ძირეული გადატეხაა მიღწეული, და ახლა ქარხანა მაოალეფექტიანი და ხარისხიანი მუშაობის ნიმუშებს გვიჩვენებს.

წარმატებით დაამთავრეს რა 1976 წელი, რუსთაველმა მეტალურგებმა ვალდებულებების გადამეტებით აწარმოეს რამდენიმე ათასი ტონა ფოლადი, თუჯი, კოქსი. რუსთაველ მეტალურგთა ესეთ ნაწარმს, როგორიც არის მოთუთიებული მალები, მილნამზადი, გადასამუშავებელი თუჯი, მოთუთიებული მავთული, მინიბებული აქვს ხარისხის უმაღლესი კატეგორია. წარსულში ზარალიანი ქარხანა, 1976 წელს მტკიცედ დადგა რენტაბელურ საწარმოთა რიგებში და 3 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცა სამშობლოს.

სასიხარულოა, რომ ქარხნის მშრომელები მიმდინარე საიუბილეო წელსაც განამტკიცებენ და ამრავლებენ ახალი ხუთწლედის სტარტზე მიღწეულ წარმატებებს.

რუსთაველი მეტალურგებისათვის მეათე ხუთწლედის პირველი წელი იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ მათ გამოიჩინეს პატრიოტული ინიციატივა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებულ ამ ყველაზე აქტუალურ წამოწყებას მხურვალედ უჭერენ მხარს და აკრიტიკებენ მთელ ჩვენს რესპუბლიკაში.

ამ ინიციატივის მხარდაჭერის ეფექტიანობას ადასტურებს თუნდაც ის, რომ მთლიანად ქალაქ რუსთავში 1976 წელს 22 პროცენტით შემცირდა სამუშაოს გაცდენთა რაოდენობა, 27 პროცენტით შემცირდა სამუშაო დროის არამწარმოებლური დანაკარგები, ერთიორად იკლო ჩამორჩენილ სამრეწველო საწარმოთა რიცხვმა.

ხუთწლედის დამდეგისათვის ფართოდ გაგებულ წარმატებებით გაგვახარეს რუსთაველმა ქიმიკოსებმა, მეცემენტეებმა, მშენებლებმაც, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მუშაკებმა, ქალაქის საწარმოებისა და ორგანიზაციების ბევრმა სხვა კოლექტივმა. ქვეყანამ დამატებით მიიღო ათასობით ტონა აზოტიანი სასუქები, ცემენტი, ბევრი თუჯის სხვადასხვა, სინთეზური ბოჭკოები და სხვა პროდუქცია. „იგაც" მარკის ცემენტისათვის ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მინიჭება კარგი საჩუქარია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთათვის.

რუსთაველი მშენებლები საქალაქო პარტიული ორგანიზაციის დახმარებითა და ხელშეწყობით უჩვენებენ მშენებლობის ისეთი პროგრესული მეთოდების დანერგვის კარგ მაგალითს, როგორიც არის ორლოველთა უწყვეტი ნაკადით მუშაობა და ბრიგადული სამეურნეო ანგარიში, ეს საშუალებას იძლევა ვადამდე შესრულონ საბინაო მშენებლობის გეგმა, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და გეგმის გადაჭარბებით საექსპლოატაციოდ გადასცენ ოთხი ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვადაზე გაცილებით ადრე ჩაყაყნონ მწყობრში 280 ბავშვისათვის გათვალისწინებული ბაგა-ბაღი. საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის მეოთხე კვარტალისა და მთლიანად 1976 წლის ვალდებულებების შესრულების შედეგების მიხედვით რესპუბლიკის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიამ გამარჯვებულად ცნო № 1 ტრესტი და რუსთავის სახლთაშენებელი კომბინატი. ეს რუსთაველ მშენებელთა დიდი გამარჯვებაა.

დროულად იქნა მწყობრში ჩაყენებული ფოლად-თუჯსამსხმელო, მეორეული ფერადი ლითონების გადამამუშავებელი ქარხნების ახალი საწარმოო სიმძლავრეები, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში სარგავი მილების უბანი და საწარმოო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების მთელი რიგი სხვა ობიექტები.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ბევრი მოქმედი საწარმოს ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის და ათვისებულია 44 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდებანი.

ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა ყოფიერების გაუმჯობესების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების სფეროების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ამ საკითხებზე წამოაყენეს პარტიის XXV ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის გადწყვეტილებებმა.

შემდეგ ამხ. კოლბინმა თქვა, რომ ახალი ხუთწლედის ამოცანების პროგრამა, როგორც პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, უფრო რთული, უფრო მასშტაბიანი.

ჩვენ ძირფესვიანად უნდა გავაუმჯობესოთ მთელი სამეურნეო მექანიზმი, ყველგან, ყველა დარგში, სახალხო მეურნეობის ყველა ქვეგანაყოფში ღრმად გამოვაკლინოთ და მაქსიმალურად ავამოქმედოთ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების არსებული რეზერვები და რესურსები, მიგაღწიოთ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის მკვეთრ ამაღლებას.

ისევე როგორც მთელს ჩვენს რესუბლიკას, რუსთავსაც ამ თვალსაზრისით დიდი რეზერვები და შესაძლებლობები აქვს.

მაგალითად, ქალაქის ცალკეულმა საწარმოებმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა ვერ შესრულეს საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი, ვერ გარდაქმნეს თავიანთი საქმიანობა დღევანდელობის უმაღლეს მოთხოვნათა შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც 1976 წელს 1975 წელთან შედარებით ვერ შეასრულეს წლიური გეგმა, ორჯერ შემცირდა, ოთხმა კოლექტივმა მაინც ვერ შეძლო აღმოეფხვრა ადრე დაშვებული ჩამორჩენა და ვერ შეასრულა წარმოების მოცულობის საგეგმო დავალებანი. ვერაფრით ვერ მოუგვარებიათ ზუსტი, სტაბილური მუშაობა ლითონკონსტრუქციებისა ქარხანას, სამაგრ მასალათა კომბინატს, ამწესაშენებელ ქარხანას, სამშენებლო-საგზაო მანქანების ქარხანას, მეორეული ფერადი ლითონების გადამამუშავებელ საწარმოს და სხვებს.

ქალაქში ფართოდ უნდა გავაგრცელოთ ქუთაისისა და რესპუბლიკის დედაქალაქის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა კოლექტივებს მნიშვნელოვანი წამოწყება, რომლებმაც გადწყვეტეს ... [illegible] ... ნაკისრ ... [illegible] ... ბრიგადა — ... [illegible] ... ეგემები შეასრულონ სისტემატურად, რიტმი[illegible] ... [illegible] ... საწარმ[illegible] ... [illegible] ... ილი ... [illegible] ... ბრ[illegible] ... [illegible] ... ბ[illegible] ... [illegible] ... ილი ... [illegible] ... ბ[illegible] ... [illegible] ... ბ[illegible] ... [illegible] ... ბ[illegible]

საბჭოთა მეცნიერების ბორიფონტები

2 მარტს მოსკოვის მეცნიერთა ...ლში გაიხსნა სსრ კავშირის ...ეცნიერებათა აკადემიის წლიური ...ერთო კრება. საბუნებისმეტყველ...ი და საზოგადოებრივ მეცნიერ...ებათა დარგში საანგარიშო პე...როდის მანძილზე მიღებული უმ...შვნელოვანესი შედეგები, მეცნ...ერული კვლევის ეფექტიანობის ...ეკონომიკური ამოცანები, მეცნიერ...ის როლის ზრდა კომუნისტური ...ენებლობის ამოცანების გადაწ...ყვეტაში — აი რა საკითხები ჰქო...ნდათ ყურადღების ცენტრში საბ...ჭოთა მეცნიერებს, რომლებიც ...ეკითხებენ დიდი ოქტომბრის ...60 წლისთავის წელს.

...კრება გახსნა სსრ კავშირის ...ეცნიერებათა აკადემიის პრეზი...დენტმა აკადემიკოსმა ა. პ. ალექ...სანდროვმა. ჩვენ, თქვა მან, საბ...ჭოთა სახელმწიფოს არსებობის ...60 წელი დაგვიდგა. დიდი ...ქტომბრის სოციალისტური რე...ოლუციის შემდეგ განვლილ ...ებში ჩვენმა ქვეყანამ უდიდეს ...ქმატებებს მიაღწია ეკონომი...ს, მეცნიერებისა და კულტუ...ს განვითარებაში. ამ ხნის და...ვლობაში ქვეყნად ძირეული ...ციალური და პოლიტიკური ...ელილებები მოხდა. უაღრესად ...ზრდა საბჭოთა კავშირის საერ...თაშორისო ავტორიტეტი მისი ...გრეკი-პოლიტიკური კურსის ...ეგადან, რომელიც მიზნად ისა...ს სხვადასხვა სოციალური წყო...ების სახელმწიფოთა მშვიდო...ან თანაარსებობას, საერთაშო...ის თანამშრომლობის განვითა...ებას, მშვიდობის შენარჩუნებისა ...ა განმტკიცებას, რასაც მთელი ...ოგრესული კაცობრიობა ესწ...ფვის. სსრ კავშირის მეცნიე...ებათა აკადემია აქტიურად ემ...ადება ღირსშესანიშნავი თარი...ისთვის. სსრ კავშირის მეცნიე...ებათა აკადემიის, მოკავშირე ...ესპუბლიკების მეცნიერებათა ...აკადემიების და უმაღლესი სკო...ლის მეცნიერებმა მთელი რიგი ...ორმები შეასრულეს საბუნების...ეტყველო და საზოგადოებრივ ...ეცნიერებათა დარგში, რომლებ...ც დიდი მნიშვნელობა აქვთ მე...ნიერულ-ტექნიკური პროგრესი...თვის, სკკპ XXV ყრილობის და ...ოწყვეტილებათა განხორციელე...ისათვის.

...პრეზიდენტმა დაწვრილებით ...ალაპარაკა აკადემიის დაწესებუ...ებათა ფუნდამენტური კვლევის ...ერთიანად მიმართულებებზე. მან ...ახასიათა დიდმნიშვნელოვანი ...ამოკვლევები საზოგადოებრივ ...ეცნიერებათა დარგში, კერძოდ, ...ადემიის ინსტიტუტებში დიდი ...ქტომბრის მე-60 წლისთავისათ...ის შესრულებული შრომები. სა...ანგებოდ აღინიშნა იმ მეცნიე...ული შრომის მნიშვნელობა, ...რომელიც განხორციელდა აკადე...მიკოს ბ. ნ. პონომარიოვის ხელმ...ძღვანელობით — „საერთაშორი...ო მუშათა მოძრაობა (ისტორიი...ა და თეორიის საკითხები)“. ამ...ად დაკავშირებით დასასრულს ...ოქვა „მეორე მსოფლიო ომის ...ტორიის“ მე-6 და მე-7 ტომები, ...რომა „მუშათა კლასი — ...ქტომბრის სოციალისტური რე...ოლუციის წამყვანი ძალა“, „განვ...ითარებული სოციალიზმის ეკო...ნომიკური პრობლემები“, „მსოფ...ლიო ლიტერატურის ისტორიის“ ...ოთხი ტომი და სხვ. ა. პ. ალექ...სანდროვმა აღნიშნა, რომ დიდმნი...შვნელოვან მუშაობას ეწევიან ...ეკონომისტი მეცნიერები ქვეყნის ...საწარმოო ძალების განლაგებისა ...და დაგეგმვის პრობლემებზე, სა...ბობ-ენერგეტიკული კომპლექ...სის განვითარების ეკონომიკურ ...საკითხებზე, კერძოდ, ამ პრობლე...მის საერთაშორისო ასპექტებზე.

მან გააშუქა საკითხები, თუ როგორ უნდა იყოს განლაგებული ქვეყნის საწარმოო ძალები ენერგეტიკული რესურსების ოპ...ტიმალური გამოყენების მიზნით, ...ილაპარაკა ამასთან დაკავშირებულ კვლევა-ძიებაზე. პრეზიდენ...ტმა თქვა, თუ რა დიდ მუშაობას ეწევიან აკადემიის მეცნიერები ...დების ნახევარგამტარი გარდამქმ...ნელების შესაქმნელად, რომელთა საფუძველზე აიგება მძლავრი მუ...დმივი დენის ელექტროგადამცემი ხაზები.

დაახასიათა რა დედამიწის შემ...სწავლელ მეცნიერებათა დარგში მიმდინარე მუშაობა, ა. პ. ალექ...სანდროვმა მაღალი შეფასება მი...სცა ნავთობის გეოლოგიის, ზეტა...ლოგენეზისა და სხვა დარგებში მიმდინარე გამოკვლევებს, აღნიშ...ნა, თუ როგორ საჭიროა ფენი...დან ნავთობის რაც შეიძლება სრულად მიღების ეფექტიანი მეთ...ოდები, რომლებზეც მეცნიერები მუშაობენ. მან აგრეთვე ილაპარაკა კვლევაზე, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ზღვებისა და ოკეანეების შელფებში ნავთობისა და გაზის მოპოვების პრობლემების გადასაჭრელად. შეეხო რა დიდი მიწისძვრების სხვადასხვა მაუწყებლის დადგენაში მოპოვებულ მნიშვნელოვან მიღწევებს, პრეზიდენტმა ამოიკნავა დასახა, რომ ამაღლდეს მიწისძვრის პროგნოზირების სიზუსტე.

ქიმიისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა დარგის მიღწევათა შორის ა. პ. ალექსანდროვმა დაასახელა მთელი რიგი ცილების, ნუკლეინმჟავებისა და სხვა ბიოპოლიმერების სტრუქტურის გაგაშიფრი კვლევა-ძიება. მან მაღალი შეფასება მისცა აკადემიის ციმბირის განყოფილების მეცნიერთა მუშაობას, რომლებმაც გამოიყენეს ახალი ჯიშის ხორბალი „ნოვოსიბირსკული-67“, აგრეთვე ელექტორებში მარცვლის სადეზინსექციო ელექტრონების ძლიერ ამჩქარებელთა გამოყენების წინადადებები. პრეზიდენტმა სავანგებოდ აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და ეფექტიანია აკადემიის ინსტიტუტების თანამშრომლობა ქიმიური მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებთან და საწარმოებთან ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის სხვადასხვა საკითხზე. მან ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც მთელ რიგ სამინისტროებთან ერთად წარმოებს სოფლის მეურნეობაში პესტიციდების გამოყენებისათვის, აგრეთვე მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ საშუალებათა შემუშავებისათვის.

ა. პ. ალექსანდროვმა აღნიშნა ფიზიკის, მექანიკის, მათემატიკის დარგში მოპოვებული დიდი წარმატებები და შეეხო გამოსათვლელი ტექნიკის სრულყოფის ამოცანებს, თქვა, რომ ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ მეტი გავლენა უნდა მოახდინოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამ დიდმნიშვნელოვანი მიმართულების განვითარებაზე.

დასასრულ აკადემიკოსმა მაღალი შეფასება მისცა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტთა ამასწინანდელ თათბირსა და მიღწეულ შეთანხმებას საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგის და მეცნიერული კვლევისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების წარმოების ერთობლივი გეგმების შესახებ.

კრების მონაწილენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ა. პ. ალექსანდროვის სიტყვებს, რომ ერთგულ მარქსისტ-ლენინელს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში — კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედალი. ეს ჯილდო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა იმისათვის, რომ უდიდესი წვლილი შეიტანა მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში, განვითარებული სოციალიზმის აქტუალური პრობლემების, კომუნისტური იდეალებისათვის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის მსოფლიო-ისტორიული ბრძოლის სტრატეგიის შემუშავებაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო წლიურ კრებაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგის 1976 წლის უმაღლესი ჯილდოები — მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მედლები გადაეცათ აკადემიკოს ს. ი. ვოლფკოვინსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ჰერმან კლარს. ტრადიციისამებრ, მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედლების ლაურეატებმა სამეცნიერო მოხსენებანი წაიკითხეს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. კ. სკრიაბინმა გააკეთა ინფორმაცია ნაშრომებზე, რომლებსაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გამოჩენილ მეცნიერთა სახელობის პრემიები და ოქროს მედლები მიანიჭა. კრებაზე აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ჯილდოები გადასცეს ახალგაზრდა მეცნიერებსა და სტუდენტებს. (საკდესი).

მოქმედების საბრძოლო პროგრამა

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მეოთხე ყრილობა

სამ დღეს კრემლის დიდ სასახლეში მიმდინარეობდა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის IV ყრილობა. მან ცხადყო მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა მუშაკების უსაზღვრო ერთგულება პარტიისა და ხალხის საქმისადმი, კომუნიზმის დიადი საქმისადმი.

ყრილობის დელეგატებმა ვ. საფიევამ (ტაჯიკეთი), დ. დ. ტურსუნოვმა (ყირგიზეთი), ა. ვ. ხაჩიკიანმა (სომხეთი), ა. მ. მამედოვმა (თურქმენეთი), ვ. ი. ფედოტოვამ, ვ. ი. სევასტიანოვმა, ი. ნ. ზასურსკიმ (მოსკოვი), ა. ტ. სარაჩეევმა (ულტონეთი), ვ. ლ. არაჩეევმა (ნაბერეჟნიე ჩელნი) და სხვებმა აღნიშნეს, რომ პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, გამომცემლობებისა და საინფორმაციო სააგენტოების მუშაკთა მრავალთასიანი რაზმის მთელი საქმიანობა მიზნად ისახავს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას, კომუნისტური მშენებლობის გზით 60 წლის ძლევამოსილი წინსვლის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფოს მიღწევების ყოველმხრივ ჩვენებას.

საბჭოთა პრესის ყველა მუშაკის სახელით ყრილობის დელეგატებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს შობილიერ პარტიას, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მის მეთაურს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საბჭოთა ჟურნალისტებიას ბოგიერთარებისადმი ყოველდღიური ყურადღებისა და ზრუნვისათვის.

ყრილობის მონაწილეებს, ყველა საბჭოთა ჟურნალისტს მიესალმნენ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიის გენერალური დირექტორი ჩან ლამი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჰან დიუნ თხეი, კუბის გაზეთ „გრანმას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ხ. ორტისი, პოლონელ ჟურნალისტთა კავშირის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე ა. მეტკოვსკი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ჟურნალისტთა საბჭოს თავმჯდომარე ო. პალერი.

ყრილობაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ნ. სევრუკი.

3 მარტს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობის დელეგატებმა მიიწვნეს საანგარიშო ჰერიოდში სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრაქტიკული მუშაობა.

მიიღეს რეზოლუცია საანგარიშო მოხსენების გამო. ყრილობამ ერთსულოვნად დაადგინა: მთლიანად და სავსებით იწონებს და მხარს უჭერს რა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მთელ საქმიანობას საფუძვლად დაედოს პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებისა და გამოსვლების ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები.

შემდეგ დელეგატებმა დაამტკიცეს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წესდება მასში შეტანილი ზოგიერთი შესწორების გათვალისწინებით.

ყრილობის მონაწილეებმა ღიდი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

ყრილობის მონაწილეებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღფოთვეს, რომ მთელ ძალ-ღონეს, ოსტატობას, შემოქმედებითს შთაგონებას საბჭოთა ჟურნალისტები მოახმარენ ჩვენი ხალხისადმი ერთგულ სამსახურს, ლენინური პარტიის იდეალებს, რათა იყონ მისი მებრძოლი თანაშემწეები მაღალი წოდების ღირსნი.

(საკდესი).

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

3 მარტს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელმაც აირჩია სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ხელმძღვანელი -ორგანოები.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი ვ. გ. აფანასიევი. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულნი არიან პ. თ. ალექსეევი, ლ. მ. ზამიატინი, ს. გ. ლაპინი, ა. ი. ლოსევი, ბ. ი. სტუკალინი, ლ. ნ. ტოლუბეევი.

გამგეობის მდივნებად აირჩიეს ვ. ა. არხანგელსკი, ს. ბ. ბაიკოვი, ი. პ. ბრიტანნი, ა. კ. ვარსობინი, გ. ნ. ენუქიძე, მ. დ. ერემია, ზ. ი. ესერბაევი, ვ. პ. ეიტკოვი, გ. ნ. კალანდაროვი, ლ. კ. კორნეშოვი, რ. ი. კოსო

ᲫᲛᲝᲑᲐᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲛᲬᲔᲛᲔᲑᲘᲐ

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ მახივის მცხოვრებნი უკვე ორი წელიწადია კარგად იცნობენ ორიგინალური კონსტრუქციისა და გაფორმების ამ შენობებს. ეს სახლები ერთმანეთის ახლოს დგას. მასივის მცხოვრებლებმა სახლთა ამ ჯგუფს „მეგობრობის კვარტალი“ უწოდეს.

ორიოდე წლის წინათ წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა თბილისის მოსახლეობას. მოძმე რესპუბლიკებმა დახმარების ხელი გამოგვიწოდეს და გლდანის მასივში რამდენიმე დიდი სახლი ააშენეს.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ხუთ ფოტოსურათს, რომლებზეც აღბეჭდილია მოსკოვის, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშენებლების მიერ აგებული საცხოვრებელი სახლები.

ყოველ წელს უფრო მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება გლდანის საცხოვრებელი მასივი. მეათე ხუთწლედში მშენებლობა კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდება და ამ რაიონის მოსახლეობა 160 ათას კაცს მიაღწევს.

ᲕᲚ. ᲑᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ფოტო.

სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნების თათბირი

სოფია, (საკადრი). მუშაობა დაიწყო სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების იდეოლოგიურ და საერთაშორისო საკითხთა მდივნების თათბირმა.

თათბირში მონაწილეობენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, კუბის კომუნისტური პარტიის, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები.

თათბირი გახსნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ფილიპოვმა.

დარგაზოგა სოფიაში

სოფია. (საკადრი). ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები კ. თ. კატუშევი და მ. ვ. ზიმიანინი, რომლებიც აქ იმყოფებიან სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნების მორიგ თათბირთან დაკავშირებით.

გულითად მეგობრულ ატმოსფეროში გაიმართა საუბარი ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ორივე სახელმწიფოს და ხალხის ძმური მეგობრობის, ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საკითხებზე.

შეხვედრაზე იყვნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ლილოვი და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მ. ბალევი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ნ. ბაზოვსკი.

რევოლუცია გრძელდება

ანგოლის პრეზიდენტ ა. ნეტოს განცხადება

ლუანდა. (საკადრი). ვაქციოთ ანგოლელი ხალხი თავისი ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონად, გავაუჯობესოთ მისი კეთილდღეობა — ასეთი ამოცანა დასახული ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის წინაშე. ეს განაცხადა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნეტომ, რომელმაც სიტყვა ხარმოთქვა ლუანდის პროვინციის მპლას აქტივისტთა თათბირის საბოლოო სხდომაზე.

ანგოლის რევოლუცია, თქვა მან, არ დამთავრებულა დამოუკიდებლობის მოპოვებით. იგი გრძელდება. და მისი წარმატებით დამთავრებისათვის საჭიროა მაღალი ორგანიზებულობა, მუდმივი მზადყოფნა, რათა საკადრისი პასუხი გავცეთ შეუკნებლობის, ფრაქციონორობისა და საბოტაჟის ყოველგვარ გამოვლინებას.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მპლას წინაშე დასახული ამოცანა შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ანგოლას სახალხო რესპუბლიკის თითოეული მოქალაქის შეუპოვარი შრომით. არსებული ყველა საწარმოო სიმძლავრის მაქსიმალური გამოყენებით. ამისთვის, ძირითადი ყურადღება, თქვა მან, უნდა დაეთმოს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის გაძლიერების გაზრდის საკითხებს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ შრომელთა აქტიური მოხალისეობა სახელმწიფოს მართვაში, განაგრძო ა. ნეტომ, ჩვენ უნდა გავწიოთ ფართო პროპაგანდისტული მუშაობა ხალხის მასების შეგნების ასამაღლებლად, შეგაიარაღოთ ისინი ნამდვილი რევოლუციური თეორიის — მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნით. პრეზიდენტმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საჭიროა გლეხობის კოოპერირება და მუშათა კლასთან ერთად მისი კავშირის შემდგომი განმტკიცება.

დასასრულ ა. ნეტომ განაცხადა, რომ უნდა გავამტკიცოთ რესპუბლიკის თავდაცვის უნარიანობა, რათა უზრუნველყოს მშვიდობიანი პირობები სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

უმუშევართა რიგები იზრდება

იტალია. მონოპოლისტური წრეები ცდილობენ ეკონომიური კრიზისით შექმნილი სიძნელეები მშრომელთა ხარჯზე დაძლიონ. უწინარეს ყოვლისა თავიანთ მოგებაზე რომ ზრუნავენ, მსხვილი მეწარმეები კვლავ წარმოების შეკვეცის გზას ადგანან, რაც ზრდის უმუშევართა რიგებს და აქვეითებს მუშათა კლასის ცხოვრების დონეს.

სურათზე: მეპატრონეების მიერ დახურული მილანის ერთ-ერთი საწარმოს მუშები. ᲜᲐᲙᲘᲡᲘᲡ ფოტო.

ᲒᲐᲜᲙᲔᲑᲘ ᲡᲐᲜ-ᲡᲐᲚᲕᲐᲓᲝᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ

სან-სალვადორი. (საკადრი). „ეს ხაშინელება იყო. პოლიცია და ჯარისკაცები ესროდნენ უიარაღო ხალხს, ქალებსა და ბავშვებს“, — ასე უამბობდა ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტს თავისუფლების პარკთან მდებარე აფთიაქის მოსამსახურე ამბავს, რომლებიც ბოლო დღეებში მოხდა სალვადორის დედაქალაქ სან-სალვადორში. ეს ქალაქი ახლა სამხედრო ბანაკს ჰგავს. ბინი ქუჩები ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით არის გაჭედილი, პატრულობენ არმიისა და პოლიციის ქვეგანაყოფების გაძლიერებული რაზმები, რომლებიც მცირეოდენი ეჭვის მიტანისთანავე ისვრიან.

მეორე დღეა სალვადორში საალყო წესებია გამოცხადებული. ქვეყანა მოუცავს მასობრივ მღელვარებებს, რომლებიც 20 თებერვალს პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ დაიწყო. ოპოზიციის მომხრეებმა, რომლებმაც მმართველ რეჟიმს ბრალად დასდეს არჩევნების შედეგების გაყალბება, ხალხმრავალი დემონსტრაციები მოაწყეს დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში.

სალვადორის რეჟიმის არმიამ და პოლიციამ განსაკუთრებით ულმობლად ჩაახშეს ეს მასობრივი გამოსვლები.

ამრიგად, სალვადორის ახლანდელი რეჟიმი — ამერიკის მონოპოლიებისა და ადგილობრივი ოლიგარქიის ინტერესების თავგადადებული დამცველი — რეპრესიების გზით ცდილობს გაიხანგრძლივოს ძალაუფლება.

რეაქცია აქტიურდება

ლონდონი. (საკადრი). 17 მაისისათვის დანიშნული კნესეტის საპარლამენტო არჩევნების მოსახლეობის კვალობაზე ისრაელში სულ უფრო აქტიურდებიან უკიდურესი მემარჯვენე და რეაქციული ელემენტები. როგორც ინგლისის გაზეთი „ტაიმსი“ იტყობინება, მისი ძირითადი მიზანია მომავალ პარლამენტში მიაღწიონ ძალებს ისეთ თანაფარდობას, რაც უზრუნველყოფს ყველა იმ რეზოლუციის მხარდაჭერას, რომლებიც უარყოფენ ისრაელის ყოველგვარ ტერიტორიულ „დათმობას“, განსაკუთრებით მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე და ღაზის სექტორში. სწორედ ეს ტერიტორიები უნდა გახდეს პალესტინის მომავალი სახელმწიფოს ბაზა მას შემდეგ, რაც მშვიდობიანი გზით მოწესრიგდება ახლო აღმოსავლეთის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადწყვეტილებათა შესაბამისად.

გაძარცვეს სენატორის სახლი

ვაშინგტონი. (საკადრი). ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქის გარეუბანში გაძარცვეს ყოფილი კოსმონავტის, ამუამად ხენატორ ჯონ გლენის სახლი. წაიღეს 30 ათასი დოლარი საერთო ღირებულების ოქროსა და ვერცხლის ნივთები და სხვა ფასეულობანი, აგრეთვე სამახსოვრო საჩუქრები და მრავალრიცხოვანი სუვენირები, რომლებიც გლენმა მიიღო მას შემდეგ, რაც 1962 წელს გახდა პირველი ამერიკელი, რომელმაც შემოუფრინა დედამიწას.

ᲕᲐᲠᲗᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ◆ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲖᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ

დაღესტანი, კოროზიისა და გაცვეთილობით მედეგობით გამოირჩევა ბაქოს მოტორის ზეთები, რომლებიც 30 ქვეყანაში იგზავნება. ეს ღირსება ამ ზეთებს მიანიჭა პარაფინისგან ნავთობის წმენდის ახალმა ტექნოლოგიამ. იგი წარმოების მუშაკებთან ერთად ნავთობქიმიური პროცესების ინსტიტუტის მეცნიერებმა შეიმუშავეს. იგი ჯერჯერობით დანერგილია მხოლოდ ერთ ქარხანაში. ეს ტექნოლოგია სახელმწიფოს წელიწადში რამდენიმე მილიონ მანეთს უზოგავს.

ნავთობქიმიური პროცესების ინსტიტუტი აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური პროფილის ექვსიდან ერთ-ერთი სამეცნიერო დაწესებულებაა. ქიმიის დარგში კვლევას რეპუბლიკაში ეწევიან „ჯრეთვე უმაღლესი სასწავლებლების ათობით სპორბლემო ლაბორატორიაში, დარგობრივ სამეცნიერო ინსტიტუტებში. წარმატებით ვითარდება მეცნიერების ახალი პერსპექტიული დარგები — მაღალი ენერგიების ქიმია, რადიოქიმია, აფსკური მასალების, ფიზიკური ქიმია, ელექტროქიმია. მარტო უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე აზერბაიჯანის მეცნიერმა ქიმიკოსებმა წარმოებაში დაინერგეს ორმოცამდე სამრეწველო პროცესი, რომლებსაც 100 მილიონ მანეთზე მეტი დამატებითი მოგება მოჰყვა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲮᲐᲖᲘ

ᲡᲣᲛ�გᲐᲘᲗᲘ — აზერბაიჯანის ვ. ი. ლენინის სახელობის მილსადენივ ქარხანაში ამოქმედდა ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვისა და ექსპლოატაციისათვის გათვალისწინებული დიდგაბარიტული მილების წარმოების ავტომატური ხაზი. ახალი ხაზი შედის ქვეყანაში პირველი კომპლექსის შემადგენლობაში, სადაც ამავე დროს ხორციელდება სამი ოპერაცია — მილების ჭრა, მათზე შემაერთებელი ქოროების მიხრახვა და მზა პროდუქციის ჰიდრავლიკური გამოცდა. სიწმინდის მაღალი კლასის ხრახნიანი და მაღალი პერმეტულობის მილების მოეგების მთელი რთული ტექნოლოგიური პროცესი მთლიანად ავტომატიზებულია. ხაზის საპროექტო სიმძლავრის ათვისებასთან ერთად მეტალურგები 16 პროცენტით გაზრდიან ხრახნიანი მილების გამოშვებას.

მიმდინარე ხუთწლედში მილსადენივ ქარხანაში — აზერბაიჯანის მეტალურგიის პირმშოში — ეპირებენ მოქმედი ყველა წარმოების რეკონსტრუქციას, ხუთი ახალი საამქროს აშენებას. ეს პროდუქციის მოცულობას ერთიორად და მეტად გაზრდის, მნიშვნელოვნად გააფართოებს მილების ასორტიმენტს მენავთობეებისათვის.

ᲘᲮᲐᲠᲝᲡ ᲗᲣᲗᲐᲛ

აზერბაიჯანის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაამთავრა თუთის 70 ათასი ხარისხოვანი ნერგის გაგზავნა რესპუბლიკის სოფლის რაიონებისათვის. მეურნეობები მხოლოდ ყველაზე მაღალხარისხოვან ჯიშებს იღებენ. მაგალითად, „ხანლარ-თუთი“ 15-20 პროცენტით მეტ ნაზ ფოთოლს იძლევა, ვიდრე სხვა ჯიშები. აბრეშუმის ჭია ამ ფოთოლს კარგად ჭამს და ნორმალურად ითარდება. მეტ ფოთოლს იძლევა აგრეთვე „ემინ-თუთი“ და „ფირუდინ-თუთი“.

ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲗ ᲩᲐᲓᲒᲐ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ

სოფახეთის ატომურმა სადგურმა პირველი დენი გამოიმუშავა. აქ ამოქმედდა 440 ათასი კილოვატი სიმძლავრის პირველი ენერგობლოკი. ენერგეტიკული ნაკადი შეუერთდა ამიერკავკასიის ეროთიან სისტემას.

სოფახეთის ატომური ელსადგური ამიერკავკასიის ატომური ენერგეტიკის პირმშოა. ძის აგებაში მონაწილეობდნენ ყველა ძმამე რესპუბლიკის მშენებლები, სამეცნიერო-ვალევითი და საპროექტო ინსტიტუტები, ქარხნები. ქვეყნის ეფერეტიკული გიგანტების მშენებელთა და მემონტაჟეთა მოწინავე გამოცდილების მეოხებით შესაძლებელი გახდა რეკორდულად მოკლე ვადაში 68 დღეში დამონტაჟებულიყო და მომზადებულიყო ასამოქმედებლად პირველი ენერგობლოკი. ატომური ელსადგურის აშენებასთან ერთად გაიყვანეს მაღალი ძაბვის ახალი ელექტროგადამცემი ხაზები, აგგეს ქვესადგურები, ხოლო გვერდით, ჭალარა არაგაწის ძირას, გაჩნდა სომხეთის ყველაზე ახალგაზრდა მშენებელთა და ექსპლოატაციის მუშაკთა ქალაქი მეწყობორი.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲚᲘᲕᲘ ᲡᲘᲚᲣᲔᲢᲘ

მაღლივი სახლი კარგად შეერწყა სომხეთის ახალგაზრდა სამრეწველო ცენტრს — ჩარენცავანის სილუეტს. აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა ეარდისფერი ტუფითა და მისით ნაგები პირველი თორმეტსართულიანი შენობა, სადაც ახალმოსახლეობა გადაიხადეს ჩარხმშენებელთა და მანქანათმშენებელთა ოჯახებმა.

ენერგომშენებელთა ყოფილი დაბა სომხეთის ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი დასახლებული პუნქტი გახდა. ხუთწლედის წლებში აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა სომხეთის უდიდესი სამკურნალო კომპლექსი, სავაკრო ცენტრი, კულტურის სასახლე, ორი საცხოვრებელი მასივი, რესტორნები, კაფეები, სპორტული ნაგებობანი. წლეულს აქ დაიწყება საცხოვრებელი მიკრორაიონის მშენებლობა.

ინტენსიური მაღლივი მშენებლობა წარმოებს სომხეთის ახალგაზრდა სამრეწველო ცენტრებში.

ᲥᲕᲘᲠᲨᲐᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ

სომხეთის მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო საფრანგეთში გამოცემული წიგნი, რომლის ავტორია ამ აკადემიის ნამდვილი წევრი, ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი ვანან კაზარიანი.

ერევნელი მეცნიერის შრომა „უმაღლეს მცენარეთა დაბერება“ წარმოადგენს მცენარეთა ორთოგენეზური (მრავალსტადიანი) განვითარების ახალ თეორიას. მას საფუძვლად უდევს ერთელი ექსპერიმენტული მასალა, ლიტერატურული ძონაცემები, უმაღლესი მცენარეების, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბუჩქნარების, ბალახოვანი და ხეოვნარეების ბიოლოგიურ თავისებურებათა თეორიული განხილვა.

ვანან კაზარიანი მცენარეთა ფიზიოლოგიის სხვადასხვა ასპექტის შესწავლისადმი მიძღვნილი 220 სამეცნიერო სტატიისა და მონოგრაფიის ავტორია. იგი სათავეში უდგას სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილებას.

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲖᲔ

როტერდამი (ჰოლანდია) გრძელდება მატჩი ლარსენსა და პორტიშს შორის. როგორც ამ მატჩზე დამსწრე კორესპონდენტები იუწყებიან, ლარსენს სრულიადაც არ გაუტეხია გული პირველი პარტიის წაგებამ. პორტიშთან, მისი ერთობლივი ანალიზის შემდეგ იგი პრესის ოთახში გაემართა და... დანის გაზეთებს მატჩის კომენტარი გადასცა.

მესამე პარტიაში ლარსენი ისევ თეთრებით თამაშობდა. ეს პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ჯერჯერობით ანგარიშია 1,5:0,5 პორტიშის სასარგებლოდ. ამ მატჩში უკვე მოხდა ერთი ინციდენტი. იმის გამო, რომ სატურნირო დარბაზის მახლობლად ორკესტრი უკრავდა და მეტოქეების თამაშს ხელს უშლიდა, მათ მოუხდათ სხვა შენობაში გადასვლა. პარტიები თამაშდება შაბათობით, ორშაბათობით და ოთხშაბათობით.

იტალიის პატარა ქალაქ ჩოკოში (ფლორენციის მახლობლად) გათამაშდა მეორე პარტია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ პეტროსიანსა და კორჩნოის შორის. აქ სწრაფად აღინიშნა ყაიმი. ამ მატჩში ანგარიში თანაბარია — 1:1.

რეიკიავიკში ჰორტი და სპასკი მეორე გადადებულ პარტიაში სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე. ანგარიში გახდა 1:1.

ლიუციერნში მეიინგ-პოლუგაევსკის მატჩის მეორე პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ თბილისიხ ჭადრაკის სასახლის თასზე საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობს. ჯერ ეწყობა ტურნირი შვეიცარიული სისტემით (9 ტურად). წინ არის ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი მაჭარაშვილი — 6 ქულა 7 თამაშიდან.

ისინი, ვინც ამ ეტაპზე გამოიჩენენ თავს, გაგრძელებენ ბრძოლას ოლიმპიური სისტემით.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე 75 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა ევროპას ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩი. ადგილობრივი „ბავარია“ („ბაიერნი“) მასპინძლობდა კიევის „დინამოს“.

ერთადერთმა ბურთმა, რომელიც „ბავარიის“ თავდამსხმელმა კონკელმა გაიტანა რუდაკოვის კარში, გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა.

საპასუხო მატჩი გაიმართება კიევში 16 მარტს.

აი დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „ბორუსია“ (გფრ)-„ბრიუგე“ (ბელგია) — 2:2, „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი)-„ლევერპული“ (ინგლისი) — 1:0, „ციურიხი“ (შვეიცარია)-„დინამო“ (გდრ) — 2:1.

ᲯᲐᲒᲕᲘᲙᲘᲗᲐ ᲡᲐᲠᲗᲝᲐᲠᲘᲡᲝ

ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡ ფეხბურთის სტადიონებზე გრძელდება ჰაბუკთა საერთაშორისო ტურნირი. მესამე ტურში სსრ კავშირის პირველმა გუნდმა ფრედ — 0:0 თამაშა უნგრელ თანატოლებთან და 5 ქულით ლიდერობს ტურნირის პირველ ჯგუფში. ჩვენი ქვეყნის მეორე გუნდი და დგრ-ის ნაკრება დაწინაურდნენ მეორე ჯგუფში — 3 ქულა 4 შესაძლებლიდან.

□

ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲮᲐᲚᲘᲩᲔᲑᲖᲔ

ᲐᲑᲐᲡ წინათ თბილისში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სამბოში ჭაბუკთა შორის, რომელშიც 16 გუნდის 160-ზე მეტი ფალავანი გამოდიოდა. გუნდური პირველობა მოიპოვეს თბილისელებმა. მეორე ადგილზეა თელავის, მესამეზე — აჭარის გუნდი.

ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲝᲜᲘ დამთავრდა ზონალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც 9 გუნდის 105 ფალავანი გამოდიოდა. პირველობა თელაველებს ხვდათ. მეორე ადგილზეა საგარეჯოს, მესამეზე — მცხეთის გუნდი.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲠᲘᲐᲚᲘ

ᲬᲘᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲒᲘᲐ

ᲗᲝᲙᲘᲝ, „ლიოიოის“ სპორტის სასახლეში გრძელდება მსოფლიოს 68-ე ჩემპიონატი ფიზიკურ სრიალში.

ქალთა შორის გაიმარჯვა 16 წლის ამერიკელმა ლინდა ფრატიანმა. მეორე ადგილზეა ანეტ პოტრი (გდრ), მესამეზე — დაგმარ ლურეი (გფრ). 13 წლის მოსკოველი მოსწავლე ელენე ვოდორეზოვა მეშვიდე ადგილზე გამოვიდა. საინტერესოა, რომ ტოკიოს ჩემპიონატზე მხოლოდ მან შეასრულა სამი სამმაგი ნახტომი.

სპორტულ ცეკვებში დაწინაურდნენ მოსკოველები ირინე მოისეევა და ანდრეი მინენკოვი.

შესანიშნავად შეასრულა ეკატერინა სავოლდენკო პროგრამა საბჭოთა მოცეკვეებმა ვლადიმერ კოვალიოვმა. მეორე შედეგი ჰქონდა ევროპის ჩემპიონს ივან ჰოფმანს (გდრ), მესამე — ჰეკ ლესკინენს (ფინეთი).

ᲝᲠᲘᲝᲞᲝᲓᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ᲕᲐᲤᲗᲐ ᲡᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲓᲔᲑᲘᲢᲣᲢᲐᲜᲢᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘᲡ „ᲡᲐᲠᲗᲐᲝᲡᲐᲛᲘ“ თავის მოედანზე დაამარცხა მოსკოვის „დინამო“ — 96:86 (54:44), კაუნასში ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ კი — ვილნიუსის „სტატიბა“ — 94:86 (42:45).

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲨᲘ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა მოსკოვის „დინამომ“ მოუკო სვერდლოვსკის „ურალმაშს“ — 79:74.

ᲧᲐᲖᲐᲮᲡᲢᲐᲜᲨᲘ მსოფლიოს ახალი რეკორდი დამყარა ბაქმი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობაზე ტალინელმა ანატოლი კარაზაევმა. 800-მეტრიანი დისტანციაზე მან ფარფლებით და აკვალუნგით 6 წუთსა და 44,1 წამში დაფარა, და 6 წამით გააუმჯობესა თავისი მიღწევა.

ᲨᲐᲠᲘᲙᲐᲛᲐᲓᲐ. რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტის ფარეიკაობის სპეციალიზებულ დარბაზში 7 დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც 7 გუნდის 150-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. რაპირისტ ქალთა ტურნირში გაიმარჯვა მ. გეგაძემ. ხმლით მოსაპარაზეთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო თ. ესპრთია, რაპირისტ ვაჟთა შორის — მ. გუგუშვილი, ხოლო დაშნით ასპარეზობაში — გ. ცნობილაძე (ყველა — თბილისი). გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი.

ᲛᲮᲐᲑᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲯᲘᲗ. ქუთაისში სამ დღეს გრძელდებოდა პირადგუნდური პირველობა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე, რომელიც რესპუბლიკის ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამაში შედიოდა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის კოლექტივმა, პირადში თბილისელებმა ირინე ქემჩუჯინამ, (ოსტატთა შორის) და ადელ სუხოვამ (ოსტატობის კანდიდატთა შორის), ხოსუმელმა ნინო დავიდოვამ (პირველთანრიგოსანთა შორის). კონკურსგარეშე ვამოდიოდა სსრ კავშირის ნაკრების წევრი ლალი დოლიძე-უფროსი.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲑᲐᲪᲘᲝᲜᲝᲑᲗ 2 მარტს გამართული „სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“ ტირაჟის შედეგებს:

„სპორტლოტო“: 18 (რიტაფელა), 14 (ფრენბურთი), 41 (ჩოგბურთი), 7(პიატლონი), 46 (ჰოკეი), 11 (ველოსპორტი).

„სპორტლოტო-2“: 30 (საიალქნო სპორტი), 15 (წყალბურთი), 36 (სლალომი), 49 (ბაზი), 12 (წყალ-სამოტორო სპორტი), 23 (მძლეოსნობა). (საკადრი).

რედაქტორის მოადგილე
Ბ. ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

4 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები, 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მსოფლიოს პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ტოკიოდან), 12.00 — პარტიულ-სამეურნეო აქტივის საკლასაო კრება მიძღვნილი ქ. თბილისისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადამავალი წითელი დროშის გადაცემისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის ღირსეული შეხვედრისადმი, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სვერდლოვსკი — წელიწადის დრონი“, 18.00 — მოსწავლეთათვის. — ფრანგული ენა, 18.30 — აფხაზეთის ასსრ და ქუთაისის მწერალთა მეგობრობის საღამო, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — საბჭოთა აფხაზეთის 56-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი, 21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია. 1934 წელი“, ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოს ვიდეოჩანაწერი (საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

17.35 — მულტიპლიკაციური ფილმები „ბომი, ბომი, ბომი და მგელი“, „პატარა გოგონა და ავტომობილი“, 18.05 — სტუდენტთათვის — მექანიზებისა და მანქანების თეორია, 18.50 — კინონარკვევი, 19.10 — განცხადებები, 19.15 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 20.00 — კონცერტი, 20.30 — მხატვრული ფილმი „შურისგები“ (პირველი სერია).

ᲞᲝᲠᲢᲚᲘᲝ

5 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.45 — „შრომითი კოლექტივი და პიროვნების ინდივიდუალობა“, 12.40 — „ეროვნული საერთაშორისო თემაზე, 12.45 — დ. არაყიშვილი. სცენა ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.15 — მოსწავლეთათვის. ანსამბლ „ცისარტყელას“ კონცერტი, 17.55 — ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. ტრანსლაცია სსრ კავშირის დიდი თეატრიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — მხუბუქი მუსიკა.

ᲗᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

4 ᲛᲐᲠᲢᲘ

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ᲑᲔᲓᲘᲡ